პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 4 აგვისტო, 1943 წ. № 164 (6789). ფასი 20 კაპ.

კოლმეურნეობის ფხიზელი თვალი

დიდ საწარმოო და პოლიტიკურ აღმავლობას განიცდის საკოლმეურნეო სოფელი. უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** 24 ივლისის ისტორიულმა ბრძანებამ საქართველოს მშრომელები მთელი .საბჭოთა კავშირის ხალხთან ერთად აღაფრთოვანა ახალი შრომითი მამაცობისათვის. გმირი წითელი არმიის წარმატებითი მოქმედებით ლიკვიდირებულია გერმანელთა ზაფხულის შემოტევა. საყვარელი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის ბრძანების საპასუხოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის მუშაკები გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ, რომ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავალი აიღონ სწრაფად, უდანაკარგოდ.

სუბტროპიკული, მრავალწლიანი ნარგავების დაკვის და მოსავლის უდანაკარგოდ აღების საქმეში ფრიად სერიოზული პასუხისმგებლობა აკისრიათ კოლმეურნეობათა გამგეობებს და საოლქო კომისიებს. საოლქო კომისია კოლმეურნეობის ფხიზელი .თვალია. სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდება — საკოლმეურნეო ცხოვრების ეს უმაღლესი კანონი —საოლქო კომისიას ავალებს ეყოს კოლმეურნეობის მთელი სამეურნეო-საფინანსო მუშაობის კურსში. საოლქო კომისიას ევალება კოლმეურნეობაში პერიოდულად რევიზიის მოხდენა და იმის შემოწმება, შეტანილია თუ არა დადგენილი წესით კოლმეურნეობის შემოსავალში ყველა ფულადი და ნატურალური შემოსავალი, დაცულია თუ არა ფულადი სახსრების ხარჯვის წესი, ფრთხილად ინახება თუ არა კოლმეურნეობის ქონება. ამასთან ერთად საოლქო კომისია ვალდებულია შეამოწმოს კოლმეურნეობის ანგარიშსწორება თავის წევრებთან, შრომადღეების დარიცხვა და სხვ. იქ, სადაც საოლქო კომისიები თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე დგანან, დიდ დახმარებას უწევენ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს, აქტიურ მონაწილეობას იღებენ კოლმეურნეობის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. მაგრამ ზოგან საოლქო კომისიის მუშაობა თვითდინებაზეა მინდობილი და. სათანადო ფხიზელი თვალის უქონლობის შედეგად, ადგილი აქვს საკოლმეურნეო წესდების დამახინჯებას. სამტრედიის რაიონის სოფ. ბაშის XVIII პარტყრილობის სახელობის, სოფ. ტოლების 26 კომისრის სახელობის, სოფ. დიდი ჯიხაშის სტალინის სახელობის კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა სახსრების უკანონოდ ხარჯვას. კოლმეურნეებისათვის შრომადღეების დარიცხვისა და აღრიცხვის საქმეში დაშვებული იყო შეცდომები. მსგავს ფაქტებს ვხვდებით ჩოხატაურის რაიონის სოფ. მაიეტის ორჯონიკიძის სახელობის, სოფ. გოგოლისუბნის ჯორკის სახელობის კოლმეურნეობებში. ამ ნაკლოვანებებს ადგილი არ ექნებოდა, სარევიზიო კომისიებს სისტემატურად, გულდასმით რომ მოეხდინათ რევიზია, საფუძვლიანად გასცნობოდნენ კოლმეურნეობათა მთელ სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას და დროულად გამოემჟღავნებინათ უდარდელობის ფაქტები.

1943 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა შესახებ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება წარმოადგენს ჩვენს საბრძოლო პროგრამას. .მოსავლის უდანაკარგოდ აღება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმების შესრულება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამხედრო-სამეურნეო ამოცანას წარმოადგენს. მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და მისი დაცვის საქმეში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიებმა. მათ ევალებათ თვალყური ადევნონ, რათა კალოებსა და მინდორზე მოსავალი არ იქნას განიავებული და დატაცებული. თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ მოსავლის აღრიცხვა და შენახვა წესიერად იყოს მოგვარებული.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმმა საქართველოს სუბტროპიკული რაიონების წინაშე საბრძოლო ამოცანად დააყენა მიაღწიონ გადამწყვეტ გარდატეხას ციტრუსოვანი ნარგავების მოვლის გაუმჯობესების საქმეში. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ ციტრუსოვან ნარგავებს საქონელი აფუჭებდეს. .კოლმეურნეობათა სარევიზიო კომისიები უნდა განმსჭვალონ მეტი პასუხისმგებლობით. მათი მოვალეობაა თვალყური ადევნონ იმას, რომ უზრუნველყოფილი იყოს ციტრუსოვანი ნარგავების დაცვა. სარევიზიო კომისიამ უნდა მოახდინოს კოლმეურნეობის განვლილი ნახევარი წლის მუშაობის დოკუმენტალური რევიზია. რევიზიის შედეგები განხილულ უნდა იქნას კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე. პერიოდულად რევიზია უნდა მოახდინონ ცალკეულ საკითხებზე, როგორიც არის კოლმეურნეებისათვის შრომადღეების დარიცხვა, აღრიცხვის მდგომარეობა და სხვ.

პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა, რაისაბჭოების აღმასკომებმა, რაიმეწარმოებლებმა უნდა გააძლიერონ დახმარება სარევიზიო კომისიებისადმი. დახმარება სარევიზიო კომისიებისადმი ნიშნავს დახმარებას კოლმეურნეებისადმი, რომ მათ უფრო უკეთესად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა სამშობლოსა და წითელი არმიის წინაშე.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფელში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება უხვი სამხედრო მოსავლის მიღებისათვის. სსრ კავშირის მიწსახკომმა უხვი მოსავლისათვის .გაჩაღებული სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების პირობების შესაბამისად თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატად სცნო საქართველოს სსრ. აღინიშნა აგრეთვე, რომ საქართველოს რესპუბლიკამ წარმატებით ჩაატარა საგაზაფხული კულტურების თესვა. სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის საბრძოლო ამოცანაა კიდევ უფრო განამტკიცონ სოციალისტური შეჯიბრებით მიღწეული წარმატებანი, ახალი ძალით გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება საკოლმეურნეო სოფელში უხვი სამხედრო მოსავლის უდანაკარგოდ აღებისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

საქართველოს კომბაინერები და ტრაქტორისტები მხურვალედ გამოეხმაურნენ ჩაალოვის ოლქის კომბაინით აღების ოსტატებისა და მოწინავე ტრაქტორისტების მიმართვას 1943 წლის სამხედრო მოსავლის აღების საუკეთესოდ ჩატარებისათვის სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. ეჭვი არ არის, რომ საქართველოს კომბაინერები და ტრაქტორისტები წარმატებით შეასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და უზრუნველყოფენ სამხედრო მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებას.

კოლმეურნეობებში სარეკვიზიო კომისიების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებით თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ თითოეულ ფუთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, სუბტროპიკულ და მრავალწლიან ნარგავებს, მოსავლის საუკეთესოდ აღებითა და სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა პირნათლად შესრულებით კიდევ უფრო მზარდი დახმარება გავუწიოთ გმირ წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა რაც შეიძლება მალე განადგურების საქმეში.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ა. ე. გოლოვანოვისათვის ავიაციის მარშლის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ ალექსანდრე ევგენის-ძე **გოლოვანოვს** მიენიჭოს ავიაციის მარშლის სამხედრო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1943 წლის 3 აგვისტო.

აუხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო მექსიკის ელჩი ბაგნინი ლ. კინტანილა

3 აგვისტოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო მექსიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ბატონი ლუის კინტანილა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისათვის მის მიერ თავისი რწმუნების სიგელის მომავალ გადაცემასთან დაკავშირებით.

საკლესი უარჰყოფს

31 ივლისს შვედურ გაზეთ „აფტონტიდნინგენში“ გამოქვეყნებულია სტატია „ფინეთთან ზავის საბჭოთა პირობების“ შესახებ. ამ სტატიაში ასეთ პირობებად, რომლებიც თითქოს „ერთი საბჭოთა დიპლომატისაგან“ გაგიგეს, ნახსენებია 1940 წლის საზღვარი კარელიის ყელზე და 1939 წლის საზღვარი — დანარჩენ რაიონებში.

საკლესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობა წარმოადგენს „აფტონტიდნინგენის“ რედაქციის მოცლილი ფანტაზიის ნაყოფს და მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

ივლისის საწარმოო გეგმების შესრულება

ივლისის საწარმოო გეგმების შესრულებაში დაწინაურდნენ და გეგმები გადაჭარბებით შეასრულეს შემდეგმა საწარმოებმა:

თბილისის ქიმკომბინატის მუშათა კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ბერიძე) ივლისის საწარმოო დავალება ვადაზე ადრე 103 პროცენტით შეასრულა.

მეორე სამკერვალო ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. ხ. ჩალარანოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ვ. ჯიქია) თვიური საწარმოო დავალება საერთო პროდუქციის გამოშვების მხრივ შეასრულა 100,4 პროცენტით;

თბილისის სპეცენტსატეცმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. კ. მაღლაკელიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ე. არუთინოვი) ივლისის დავალება 105 პროცენტით შეასრულა;

საქ. სსრ ჯანახალკომის ფარმაკო-ქიმიურმა ქარხანამ (დირექტორი ამხ. ა. პეტროსიანი, პარტბიუროს მდივანი ამხ. ი. ეგიაზაროვი) ივლისის საწარმოო დავალება 123,5 პროცენტით შეასრულა.

პირველმა სამკერვალო ფაბრიკამ (დირექტორი ამხ. გ. გაბუნია, პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ფ. აფაქიძე) **ივლისის გეგმა შეასრულა 102,7 პროცენტით.**

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

3 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

3 აგვისტოს განმავლობაში ჩვენი ჯარები ორიოლის მიმართულებით განაგრძობდნენ შეტევას, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 6-დან 10 კილომეტრამდე, დაიკავეს 50-ზე მეტი დასახლებული პუნქტი და მათ შორის რკინიგზის სადგურები ლომჟინო (11 კილომეტრზე ორიოლის აღმოსავლეთით), პილატოვკა, სტიში (8 კილომეტრზე ორიოლის სამხრეთ-აღმოსავლეთით).

ბელგოროდის მიმართულებით მზვერავთა გაძლიერებული ძიება და ადგილობრივი ხასიათის ბრძოლებია.

დონბასში, ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში, მტერმა განცდილი დიდი ზარალის შედეგად იერიშები შესწყვიტა.

ლენინგრადის ფრონტზე, მგას ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, მზვერავთა ძიება და ინტენსიური საარტილერიო-სანაღმტყორცნო სროლაა ორივე მხრივ.

2 აგვისტოს განმავლობაში ყველა ფრონტზე ჩვენმა ჯარებმა დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 21 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მტრის 180 თვითმფრინავი.

* * *

ორიოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას.

ორიოლის ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ჩვენი ჯარები წარმატებით მიიწევდნენ წინ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს. გერმანელები უკან იხევენ საბჭოთა ნაწილების დარტყმების გამო და უდიდესი ზარალი მოსდით ადამიანების, საჭურვლისა და სამხედრო მასალების მხრივ. ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს მრავალი საწყობი საომარ მასალიანად და სურსათიანად, 17 ქვემეხი, რამდენიმე ვარგისი ტანკი „ვეფხვის“ ტიპისა და სხვა ალაფი. განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები სწარმოებდა ორიოლის ჩრდილო-დასავლეთით. გერმანელები წინააღმდეგობას უწევდნენ შემტევ საბჭოთა ნაწილებს და განუწყვეტლივ გადმოჰყავდათ კონტრიერიშებზე ტანკები და ქვეითი ჯარი. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის ყველა კონტრიერიში და მოსპეს 2.000-ზე მეტი ჰიტლერელი, 13 ტანკი, 12 ქვემეხი და ბევრი ავტომანქანა.

ორიოლის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით 6 შენაერთის ნაწილები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, წინ წაიწიეს და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები დაიკავეს. მოსპობილია 1.500-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენმა ქვეგანყოფებმა დაიზიანეს და დასწვეს მტრის 8 ტანკი, მოსპეს 4 თვითმავალი ქვემეხი და 19 სავალე ქვემეხი, 10 ნაღმსატყორცნი და 80 ტყვიამფრქვევი. მტერს წაართვეს 19 ქვემეხი, 6 რადიოსადგური და საომარი მასალის საწყობი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში დღის განმავლობაში გერმანელთა 76 თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

* * *

ბელგოროდის მიმართულებით მზვერავთა ძიება და ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა. იმ უბანზე, რომელსაც ნ შენაერთი იცავს, გერმანელებმა რამდენიმე ძლიერი ცდა მოახდინეს, რათა ბრძოლით დაეზვერათ საბჭოთა პოზიციები. ჩვენმა ქვეგანყოფებმა ყველა სახეობის იარაღის ცეცხლით და კონტრდარტყმებით მტერი უკუაგდეს პირვანდელ ზღუდეებზე, შემდეგ კი იგი შეავიწროვეს. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 300-ზე მეტი გვამი. ხელთ ვიგდეთ 3 ქვემეხი, 19 ტყვიამფრქვევი, 18 ავტომანქანა და 3 რადიოსადგური.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია მტრის 35 ძელმიწური საცეცხლე წერტილი, 11 ბლინდაჟი და 5 სათვალთვალო პუნქტი. ჩვენი ქვეგანყოფების აქტიური მოქმედების შედეგად გაწყვეტილია გერმანელთა სულ მცირე ერთი ბატალიონი ქვეითი ჯარი.

საჰაერო ბრძოლებში, რომლებიც ლენინგრადის მისადგომებზე გაჩაღდა, ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 20 თვითმფრინავი და დაზიანეს 4 თვითმფრინავი. საბჭოთა კავშირის გმირმა, გვარდიის კაპიტანმა ამხ. ხარიტონოვმა მტრის 2 თვითმფრინავი ჩამოაგდო. უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. ბილიუკინმა გერმანელთა 4 თვითმფრინავი მოსპო. საბჭოთა ავიაციამ, რომელიც მტრის კომუნიკაციებსა და ზურგს ურტყამდა, დაამტვრია რამდენიმე სარკინიგზო ეშელონი, მოსპო 50-ზე მეტი ავტომანქანა და აიფეთქა საომარი მასალის 5 საწყობი. ფინეთის ყურეში ტორპედოსანი თვითმფრინავების მიერ ჩაძირულია მტრის საგუშაგო ხომალდი და 2 ტრანსპორტი.

* * *

კარელიის ფრონტზე კაპიტან ამხ. კოპირინის ქვეგანაყოფმა იერიში მიიტანა მტრის დასაყრდენ პუნქტზე. საბჭოთა მებრძოლები მტრის სანგრებში შეიჭრნენ და ხელჩართულ შეტაკებაში გასწყვიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. იერიშის შედეგად განადგურებულია მტრის დასაყრდენი პუნქტი, დანგრეულია ყველა თავდაცვითი ნაგებობა, მათს რიცხვში 7 ძელმიწური საცეცხლე წერტილი და 5 მიწური, წამოყვანილია ტყვეები.

* * *

სმოლენსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა რამდენიმე ადგილას დანაღმა გზატკეცილი, რომლითაც გერმანელებს ფრონტის ხაზზე მიჰყავდათ მაველი ძალები და მიჰქონდათ სამხედრო ტვირთი. დღის განმავლობაში ნაღმებზე აფეთქდა 16 ავტომანქანა. მოკლული და დაჭრილია 65 გერმანელი. ივლისის ბოლოს პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელთა 2 სამხედრო ეშელონი. პარტიზანმა მზვერავებმა შეამჩნიეს, თუ როგორ მოვიდნენ მარცხის ადგილას გერმანელთა აღმდგენელი რაზმები და ვაგონების ნამსხვრევებიდან გამოიტანეს ჰიტლერელთა 200-მდე გვამი. სმოლენსკელ პარტიზანთა სხვა რაზმმა ნაღმებზე აფეთქა გერმანელთა 3 სამხედრო ეშელონი. დაზიანებულია 3 ორთქლმავალი, 10 პლატფორმა ავტომანქანებიანად და მოტოციკლებიანად და 13 ვაგონი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად.

* * *

წითელი არმიის მიერ განთავისუფლებულ ქალაქ ბოლხოვის მცხოვრებლებმა—საშუალო სკოლის მასწავლებელმა გალინა პროხორჩენკომ, ქალაქის საბავშვო ბიბლიოთეკის გამგემ მარიამ მედიშჩევამ და სხვებმა გერმანელ ფაშისტ არამზადათა მხეცობის შესახებ განაცხადეს: „გერმანელებმა ბოლხოვი დაიკავეს 1941 წლის ოქტომბერში და პირველსავე დღეებში ქალაქი გაძარცვეს. საყოველთაო ძარცვას თან ახლდა მშვიდობიან მოქალაქეთა ხოცვა. გერმანელმა სამხედრო ხელისუფლებამ ქალაქის ყველა სკოლა დახურეს და ისინი ჯარისკაცთა ყაზარმებად და თავლებად აქციეს. მათ განადგურეს პედაგოგიური სასწავლებელი, ისტორიული მუზეუმი, სამედიცინო სასწავლებელი, ხოლო ფიზიკური კაბინეტების ყველაზე უფრო ძვირფასი ხელსაწყო გერმანიაში გაგზავნეს. გერმანელმა ჯარისკაცებმა გაანადგურეს ქალაქის ბიბლიოთეკა და 50 ათასზე მეტი წიგნი დასწვეს. მუზეუმის შენობაში გერმანელებმა ტანსაცმლის საწყობი მოაწყეს, ხოლო კულტურის სახლში—ოფიცერთა ბუნაგი. ბევრ ეკლესიაში გერმანელებმა გააჯანეს, სახელოსნოები და საწყობები მოაწყეს. ჰიტლერელებმა დაანგრიეს ძველისძველი სამების ეკლესია, რომელიც ქალაქის უძველეს ნაწილში იმყოფება, ამ ნაწილს „ქალაქი“ ეწოდება. ზამთარში ფაშისტმა ურჯულოებმა სახლებიდან ამოსმით მცხოვრები გამორეკეს. მათ ყინვაში გაჰყარეს ქალები და ბავშვები, მოხუცები და ავადმყოფები და მთელ მოსახლეობას აიძულებდნენ გზები ეშენებინათ. დასახლებით 600 ქალაქელი და ახალგაზრდა ქალი გერმანელებმა ძალით წაიყვანეს ფერმანიაში. უკანდახევის წინ ჰიტლერელებმა ააფეთქეს და დასწვეს 2 სკოლა, თეატრი, ყველა დიდი საცხოვრებელი სახლი, ქალაქის ბაღში ასჩეხეს ხეები. დახვრეტის შიშით გერმანელმა დამპყრობლებმა ქალაქის ბევრი მცხოვრები ძალით გაიტანეს“.

გაბედული დაზვერვა

ორიოლის აღმოსავლეთით, 3 აგვისტო. (საკავშირო სპეც. კორესპონდენტისაგან). ბელგოროდი ყოფილან დაზვერვაში გვარდიის უფროსი ლეიტენანტი შიხელ ვედრინსკი და გვარდიის წითელმარმიელები მოსკინი, მოშაროვი და ვლასოვი, მაგრამ ასეთი წარმატებითი გამოხდომა, როგორიც უკანასკნელი იყო, ამ ნაცად მზვერავებსაც კი არა ჰქონიათ.

ერთი დასახლებული პუნქტის მისადგომებზე ჩვენი ქვეგანაყოფი ჰიტლერელთა ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. წინ რომ წაიწიათ, საჭირო იყო გამოერკვიათ მტრის საცეცხლე წერტილების განლაგება და ჩაეხშოთ ისინი. მზვერავები ვედრინსკის მეთაურობით მშვიდობით მიუახლოვდნენ მტრის თავდაცვას და ხევში გერმანელთა რამდენიმე დაზიანებული ტანკი აღმოაჩინეს. მალე ამ ადგილს თავზე გამოჩნდნენ გერმანელთა ბომბდამშენები, შემდეგ კი მზვერავებმა დაინახეს გერმანელების მიერ აშენებული თეთრი რაკეტი. ეს ანშნავდა, რომ გერმანელები აფრთხილებდნენ თავიანთ მფრინავებს—„აქ დაბომბვა საჭირო არ არის, ჩვენი მანქანებიაო“. ერთ-ერთ ტანკში ვედრინსკიმ იპოვნა სარაკეტე და რამდენიმე თეთრი რაკეტი. მან მაშინვე აუშვა რაკეტი მტრის წინა კიდის მიმართულებით. გერმანელმა მფრინავებმა ეს რაკეტი მიზნის მაჩვენებლად მიიღეს ფაშალოსენ და ბომბები თავიანთ პოზიციებს დააყარეს.

სანამ ფაშისტთა ბომბდამშენები თავიანთი თავდაცვის წინა კიდეს ბომბავდნენ, მზვერავებმა ხევით წინ წაიწიეს და გერმანელთა საკასებთან ვარგისი ტანკი იპოვნეს. მყისვე მომზადდა გაბედული გადაწყვეტილება: გაანეგრძოთ დაზვერვა გერმანელთა ტანკით. გვარდიელებმა რამდენიმე სამხედრო პროფესია შეითავაზეს. ვედრინსკიმ იცოდა მანქანის წაყვანა და არტილერისტი იყო, ვლასოვმა იცოდა გამტანის მოვალეობა, მოსკინი კარგი მსროლელი იყო და იცოდა გერმანელთა სატანკო ტყვიამფრქვევის მოწყობილობა. ამრიგად, ტანკის ეკიპაჟმა მალე დაიკავა თავისი ადგილები და პირდაპირ დასახლებული პუნქტისაკენ დაიძრა.

გერმანელებმა „თავის“ ტანკს არ ესროლეს. მანქანამ გაიარა სანგრების ხაზი. მოშაროვმა, რომელიც მეთვალთვალის როლს ასრულებდა, სქემაზე აღნიშნა მტრის საცეცხლე წერტილის, ძელმიწური საცეცხლე წერტილების განლაგება, თვითმავალი ზარბაზნების სადგომი ადგილი. ისეა დარჩენოდათ, რომ გამოერკვიათ, თუ სად იმყოფებოდა ჰიტლერელთა სატყვიამფრქვევო ბუდეები და ტანკსაწინააღმდეგო ბატარეიები. მზვერავებმა შეაფერისი ადგილი აირჩიეს და სროლა ატეხეს. მხოლოდ ახლა ეცა ეს. ასტყდა გაოფთრებული სროლა. გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ვედრინსკიმ სწრაფად ჩაინიშნა სატყვიამფრქვევო ბუდეებისა და ტანკსაწინააღმდეგო ბატარეიების განლაგების ადგილი, საქმე მოუჯდა და მანქანა მთელი სისწრაფით ხევისაკენ გააქანა.

მალე მზვერავები უკვე თავისი ქვეგანაყოფის ახლოს იყვნენ; მაგრამ აქ წამოიჭრა საკითხი: როგორ აეშორებინათ თავიანთი არტილერისტების ცეცხლი?

მაგრამ გამოსავალიც იპოვნეს. საარტილერიო ბატარეიის მეთვალთვალეებმა დაინახეს ჩვენი სანგრებისაკენ მომავალი გერმანული ტანკი, რომელზეც თეთრი ბაირაღი ფრიალებდა. მანქანა ზედ წინა კიდესთან მოუშვეს. როგორ განცვიფრდნენ მებრძოლები და მეთაურები, როდესაც მანქანიდან ზედიზედ გამოხტნენ ჩვენი მზვერავები.

გვარდიის უფროსმა ლეიტენანტმა ვედრინსკიმ უპატაჟა დავალების შესრულების შესახებ და სთხოვა მიეღოთ საჩუქარი—გერმანელთა ვარგისი ტანკი.

მზვერავების მიერ შეგროვებულმა ცნობებმა საარტილერიოს, დახმარება გაუწიეს მიღებული გადაწყვეტილება, რის შედეგადაც გერმანელები მალე იქნენ განდევნილნი დასახლებული პუნქტიდან.

ნ. კუზოვკინი

ოსავლის აღება

(საქმიწასახკომის 1 აგვისტოს ცნობით)

რაიონები	თავთავიანი კულტურების აღება პროცენტით	თივის აღება პროცენტით	სილოსის მომზადება პროცენტით	თამბაქოს შეტანა პროც.
აფხაზეთის ასსრ		8,3		4,3
აჭარის ასსრ		12,7		3,8
სამხრეთ - ოსეთის ავტ. ო.	20,2	17,8		
ზუგდიდი				6,6
ქუთაისი		3,8		
ჩოხატაური			5,5	0,7
მაიაკოვსკი		122,0		
ლანჩხუთი		73,7		
ჭიათურა	71,5	62,5	48,1	
სარჩერე	49,0	58,8	24,4	
ორჯონიკიძე	46,6	42,0	25,9	
ონი	15,1	22,6	21,3	
ამბროლაური	34.8	42,5		
ცაგერი	42,8	44,5	27,3	
ახალქალაქი		50,1		
ბოგდანოვკა		35,5	106,3	
ახალციხე	59.2	27,6	3,0	
ადიგენი	34,3	39,7		
ასპინძა	20.1	59,1	30,0	
ხაშური	75,1	100,0		
ქარელი	57,1	35,0		
გორი	67,8	146,0		
კასპი	65,8	114,3		
ბორჯომი	8,9	15,9	74,6	
წალკა		83,5	102,2	
დუშეთი	33,3	25,6		
თეთრი წყაროო	45,0	94,8	28,1	
თიანეთი		69,2	0,8	
გურჯაანი	87,7	100,0	35,9	2,6
სიღნაღი	76,4	92,4	18,4	2,7
წითელწყაროო	60,6	95,8	100 0	
თელავი	91,2	159,0	5,4	
ყვარელი	100,0	114.2		3,9
ლაგოდეხი	100,0	100,0	2,9	16,1
თბილისი	56,6	101,4		
მცხეთა	65,3	61,1		
ყარაია	100,0	85.2		
ბორჩალო	92,9	92,3	3,7	5,8
ბოლნისი	79,8	137,5	1,2	1,9
საგარეჯო	52,6	78.8		
ბაშკიჩეთი	107,5	72,0		

დავრაზმოთ მთელი ძალები მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის

მახარაძელი კოლმეურნეები ასრულებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს

მახარაძე („კომუნისტის“ სპეც. კორ.). მახარაძელი კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები დროულად გამოეხმაურნენ ქობულეთელ კოლმეურნეთა მიმართვას და ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ფრონტისადმი დახმარების გაძლიერებისათვის.

მახარაძის რაიონის პარტიული ორგანიზაციები საათავეში ჩაუდგნენ სოციალისტურ შეჯიბრებას, დარაზმეს მასები საწარმოო გეგმების მთლიანად და გადამეტებით შესრულებისათვის. სოფ. კონჭათის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ლ. კოსტავა, პარტორგანიზაციის მდივანი კ. ჩხაიძე) სისტემატურად ამოწმებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს და შედეგებს ახლავენ პარტორგანიზაციებ კრებებზე. კოლმეურნეობაში შარშანდელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა სტახანოველთა რიგები. დიდი გადაჭარბებით ასრულებენ სამუშაო ნორმებს კოლმეურნეობის წევრები პელაგია ქათამაძე, ისიდორე კოსტავა, იოსებ ჭანტურია და სხვები. სოფ. განახლების კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე თ. კვაჭაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ი. ჩხარტიშვილი) პარტიულ კრებებზე სისტემატურად ისმენენ როგორც ცალკეული ბრიგადირების, ისე რგოლების ხელმძღვანელების მოხსენებებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე. სოფ. ასკანის ეფორიშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე გ. თალაკვაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ე. ცქვიტინიძე) პარტიულ-კომკავშირულ და კოლმეურნეთა კრებებზე წელს ითხოვენ განინიელეს სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობა და კონკრეტული ღონისძიებანი დასახეს ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებისათვის. ამ კოლმეურნეობის სტახანოველები ლუბა ვასაძე, პელეა შევარდნაძე, ნინო შეწირული სამუშაო ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. სოფ. შრომის ორჯონიკიძის სახელობის ორდენსანმა კოლმეურნეობამ, რომელმაც შეჯიბრებაში გამოიწვია სტალინური ურალის „მაშინელადზის“ რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია ეიზნის“ წევრები, წელს უხვი მოსავლის მიღებად ყველა სამუშაო შეასრულა. განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტ. ხოშტარიკის, ა. კეკენაძის, ს. მეკავნაძის, ნ. ჩხაიძის, პ. ჯაბუას, ლ. გოგუას, ბ. გოგოძის, ს. ჯაყელის ბრიგადები.

სოფ. ნატანების ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრები მზარდ დახმარებას უწევენ ფრონტს. ამ კოლმეურნეობის წევრს ლიუდა ხურციძეს მთელი საქართველო იცნობს. ამხ. ლიუდა ხურციძე საშუალოდ დღეში 200 კილოგრამს ჩაის ფოთოლს ჭრიფს, ზოგჯერ კი 700 კილოგრამს. ამხ. ხურციძე ჩაის კრეფის ტექნიკას ასწავლის მთელ რიგ ახალგაზრდა კოლმეურნეებს. ამ კოლმეურნეობის ბრიგადირი ეპოლიტე ხურციძე, მიხეილ კოსტავა, მერიკო გურაშვილი მელითონ მუჯირი, მოსე ბაღათურია ზურგში დაუღალავად მუშაობენ და სანიმუშოდ უვლიან ჩაისა და ციტრუსოვანთა ნარგავებს. ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ სოფ. ლიხაურის ლენინის სახელობის, სოფ. ნიაბაურის დიმიტროვის სახელობის, სოფ. ვურიანთის მახარაძის სახელობის, სოფ. განახლების ბუდიონის სახელობის, სოფ. შომყმედის, სოფ. მერიეკ კიროვის სახელობის, სოფ. დეაბუს ჩარკვიანის სახელობის, სოფ. ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის და მთელი რიგი სხვა კოლმეურნეობები.

სოფ. ხვარბეთის კოლმეურნეობის წევრები ელენე ტაკიძე, ნათელა კიტია, თინა მურვანიძე, სოფ. ძიმითის კოლმეურნეობის წევრები შუარა ჩხაიძე, დარეჯან სამსონია, თამარ ტუღუში, ზინა ხარატი, შუშანა ხარატი, სოფ. ვანსტქალის კოლმეურნეობის ბრიგადირი ანარეულ ჭელაძე სამხედრო ტანსაცმლებს

მოქმედი არმია (ლენინგრადის ფრონტი) • საიაკეოებდა—ლეიტენანტი გ. ს. ბეიტრიშვილმა (წინააღმდეგ ალის მტს-ის ყოფილი ბრიგადირი) და რ. მ. ჩაჩიამ (ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი) ერთ თვეში მოსპეს 60 გერმანელი. სურათზე: რ. მ. ჩაჩია (მარცხნივ), რომელმაც მოსპო 29 გერმანელი, და გ. ს. ბეიტრიშვილი, რომელმაც მოსპო 31 გერმანელი.

ფოტო ვ. კაპუსტინისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

ფანკისტ სტოლიაროვის და ჯავშანმფრეველ კიკნაძის ბრძოლა მტრის ფანკებთან

(მოსკოვი „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

მოსკოვის გაზეთების კორესპონდენტები განაგრძობენ ცნობების გზავნას ჩვენს მამაც ტანკისტებსა და არტილერისტებზე, რომლებიც სპობენ გერმანელთა ტანკებს. ჩვენი ტანკისტები მედგრად და ჟეკაცურად ებრძვიან მტერს, დგანან თავგანწირულად, არ უშვებენ ფაშისტებს.

„პრავდის“ კორესპონდენტები მაიორი გრიგორი და კაპიტანი დუბინსკი იუწყებიან: „უკვდავი სახელი მოიხვეჭა ლეიტენანტ სტოლიაროვის გმირულმა ეკიპაჟმა. მამაცი ტანკისტები დაიღუპნენ, მაგრამ მტერმა ვერ გაარღვია ჩვენი საბრძოლო წყებები. ლეიტენანტ სტოლიაროვის ტანკი შეხვდა „ვეფხვს“. მტრის ყუმბარებისაგან სტოლიაროვის მანქანას კოშკურა დაუზიანდა, ტანკს ცეცხლი წაეკიდა, გერმანელები კი რამდენიმე მეტრზე იყვნენ. მამაცმა ლეიტენანტმა სტოლიაროვმა გადასწყვიტა გაეტარინა მტრის მანქანა. ცეცხლმოდებული ტანკი გაექანა „ვეფხვისაკენ“ შეჯახების ადგილას ლითონის გროვიდან დარჩა გმირი საბჭოთა ტანკისტები დაიღუპნენ, მაგრამ სიკვდილის წინ მათ მოსპეს მტრის ტანკი.

საბჭოთა ტანკისტები მტკიცედ დგანან თავიანთ ზღუდეებზე. მათ ერთი ნაბიჯითაც არ დაიხიეს უკან და მტერს არ დაუთმეს არც ერთი მტკაველი საბჭოთა მიწა-წყალი, რომელიც ზამთრის ბრძოლებში დაებრუნეთ მტრისაგან“.

გერმანელთა ტანკები უძლურნი არიან ჩვენი თავდაცვის სიმტკიცისა და სიმამაცის წინაშე. როგორც „კრასნაია ზვაზდას“ კორესპონდენტი ორიოლ-კურსკის მიმართულებიდან იუწყება, მტრის 150-ზე მეტმა ტანკმა თექვსმეტჯერ მიიტანა იერიში ერთი ჩვენი პოლკის ქვეგანაყოფებზე. მაგრამ მებრძოლნი არ შემდრკალან და ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევიათ უკან. ამ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი პოლკის ჯავშანმტვრეველებმა. მათ შორის უმცროსმა სერჟანტმა კიკნაძემ დააზიანა მტრის ოთხი ტანკი.

„ამ სასახელო საგმირო საქმეებმა,—იუწყება კორესპონდენტი,—გამოაწრთო ჩვენი მებრძოლები, რომლებიც ორიოლ-კურსკის მიმართულებით იბრძვიან. ჩაუნერგა მათ უფრო მეტი რწმენა თავისი ძალებისადმი, თავისი იარაღისადმი. ჩვენი ნაწილების გმირულმა თავდაცვამ მოჰქანცა მტერი და ძალა გამოაცალა მას“.

ვ. ყარა-მურზა



ქართველი ხალხის მამაცი შვილი ოდენონსანი კაპიტანი შოთა ნიკოლოზის-ძე **გოგორიშვილი**, ბატალიონის მეთაურის მოადგილე. იგი მეთაურობდა მებრძოლთა ჯგუფს—50 კაცს, შეიჭრა სოფელში, სადაც გერმანელები იყვნენ, გაანადგურა 120 ჰიტლერელი და ხელთ იგდო დავლა. ბრძოლაში ვაჟკაცობის გამოჩენისათვის იგი დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

ფოტო ი. ნარცისოვისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

მოკაჟედი არმია (ვოლგოგრადის ფრონტი). ლენინგრადის ბლოკადის გარღვევის მონაწილე, უფროსი სერჟანტი გიორგი **მჭედლიშვილი**, წარსულში თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი. თავისი ქვემეხის პირდაპირი დანიშნულებით იგი ანგრევდა გერმანელთა ბლინდაჟებს და ამით უზრუნველყოფდა თავისი ქვეგანაყოფის წინსვლა. გამბედაობისა და მამაცობისათვის იგი დაჯილდოებულია წითელი ვარსკვლავის ორდენით და მედლით „მამაცობისათვის“.

ფოტო პ. ნიკიტინისა (საკავშირო ფოტოქრონიკა).

გერმანელთა საზაფხულო შემოტევის ჩაშლა

23 ივლისს ჩვენი ჯარების წარმატებითი მოქმედებით საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა გერმანელთა შემოტევა, რომელიც 5 ივლისს დაიწყო ორიოლის სამხრეთით და ბელგოროდის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებიდან კურსკისაკენ. ჩვენმა ჯარებმა არა მარტო უკუაგდეს მტერი და სავსებით აღადგინეს მდგომარეობა, რომელიც მათ ეჭირათ 5 ივლისამდე, არამედ კიდეც გაარღვიეს მტრის თავდაცვა და წინ წაიწიეს ორიოლისაკენ 15-დან 25 კილომეტრამდე.

5-დან 23 ივლისამდე წარმოებულ ბრძოლებში მტერმა მოკლულთა სახით დაჰკარგა 70.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და მოსპობილია 2.900 ტანკი, 195 თვითმავალი ქვემეხი, 844 საველე ქვემეხი, მოსპობილია 1.392 თვითმფრინავი და 5.000-ზე მეტი ავტომანქანა.

უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა 1943 წლის 24 ივლისის ბრძანებაში საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელთ და ჯარებს მიულოცა გერმანელთა საზაფხულო შემოტევის ლიკვიდაციის წარმატებით დამთავრება. ყველა მებრძოლს, მეთაურსა და პოლიტმუშაკს მადლობა გამოუცხადა ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე გერმანელთა შემოტევის სრული ჩაშლა უდიდესი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის მოვლენაა. გამოშაკარავებულია ფაშისტური პროპაგანდის კიდევ ერთი ლეგენდა „ლეგენდა იმის შესახებ, რომ ზაფხულში გერმანელები შეტევაში მუდამ წარმატებებს აღწევენ, ხოლო საბჭოთა ჯარები თითქოს იძულებული არიან უკან იხევდნენ“ (სტალინი).

1943 წლის ივლისის შემოტევისათვის გერმანელ ფაშისტთა სარდლობა დიდხანს და საფუძვლიანად ემზადებოდა. მალე, სტალინგრადთან განადგურების შემდეგ გერმანიაში გამოცხადდა ადამიანთა ძალებისა და მატერიალური რესურსების ეგრეთწოდებული „ტოტალური“ (საყოველთაო) მობილიზაცია.

მთელი დამონებული ევროპა მუშაობდა ჰიტლერის სამხედრო მანქანისათვის. ანახლებდნენ და აუმჯობესებდნენ გერმანიის სამხედრო ტექნიკას. გამოშვებულ იქნა ახალი ტიპის მძიმე ტანკი „ტიგრი“, მძიმე თვითმავალი ქვემეხები „ფერდინანდის“ ტიპისა, გაუმჯობესებული მოპიკრე ბომბდამშენები. მთელი მეცადინეობა მიმართული იყო იმ უდიდესი ზარალის ანაზღაურებისაკენ, რაც გერმანელ ფაშისტთა არმიებს მოუვიდათ საბჭოთა ფრონტზე. ჰიტლერელებს იმედი ჰქონდათ, რომ ზაფხულში ისინი კვლავ შესძლებდნენ დაეწყოთ შეტევა და რევანში აეღოთ სტალინგრადთან თავისი დამარცხებისათვის.

ფაშისტების მზადება შემოტევისათვის ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო. გერმანელებმა კურსკის მიმართულებით თავი მოუყარეს დიდ ძალებსა და ბევრ საომარ ტექნიკას. შემოტევაში მონაწილეობას იღებდა 38 დივიზია, მათ შორის 17 სატანკო. გერმანიის სარდლობა დარწმუნებული იყო თავისი შეტევის წარმატებაში: ჯარებისადმი ბრძანებაში, რომელიც ჯარისკაცებს წაუკითხეს 4 ივლისს საღამოთი და 5 ივლისს დილადაადრიან, ჰიტლერი სწერდა, რომ იწყება „უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა“. ცეცხლისა და რკინის ნიაღვარი დაატყდა თავს ჩვენს თავდამცველ ჯარებს. როგორც ტყვე გერმანელი ოფიცრები აცხადებენ, გერმანელებმა შემოტევის პირველ დღეს უფრო მეტი საომარი მასალა დახარჯეს, ვიდრე პოლონეთის მთელი კამპანიის განმავლობაში. შემოტევის პირველი სამი დღის განმავლობაში გერმანიის არტილერიამ დახარჯა უფრო მეტი ყუმბარა, ვიდრე საფრანგეთთან ომის მთელი ხნის განმავლობაში.

და შემოტევა მაინც ჩაიშალა. საბჭოთა მეომრებმა, რომელნიც ასრულებდნენ ამხანაგ სტალინის ბრძანებას—არ დაეთმოთ მტრისათვის არც ერთი მტკაველი ჩვენი მიწა-წყალი,—გაუძლეს ფაშისტთა ჯავშნიან ტარანს, რომელსაც დიდძალი ავიაცია და არტილერია ეხმარებოდა. თუ გერმანელებმა აქა-იქ შესძლეს სოლივით შემოჭრილიყვნენ ჩვენს თავდაცვაში, მათ ეს მანძილი გამოიარეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის უდიდესი ზარალის ფასად.

შემოტევის ჩაშლა იმდენად აშკარა გახდა, რომ გებელსის უწყების ფაშისტმა ცრუპენტელებმა თავიანთ ოფიციალურ ცნობებში შეტევის ინიციატივა საბჭოთა ჯარებს მიაწერეს. ჰიტლერის მთავარი ბანაკის ამ ყალთაბანდურმა ფანდმა ცხადჰყო, თუ რა დიდი დაბნეულობაა ფაშისტურ სარდლობაში მის მიერ განცდილი დიდი მარცხის გამო.

რით აიხსნება გერმანელთა შემოტევის ჩაშლა?

მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ უმაღლესი მთავარსარდლობის გამჭრიახობის მეოხებით წითელი არმია საფსებით მომზადებული იყო იმ უდიდესი ზარალის ანაზღაურებისაკენ, რაც გერმანელ ფაშისტთა არმიებს მოუვიდათ საბჭოთა ფრონტზე. ჰიტლერელებს იმედი ჰქონდათ, რომ ზაფხულში ისინი კვლავ შესძლებდნენ დაეწყოთ შეტევა და რევანში აეღოთ სტალინგრადთან თავისი დამარცხებისათვის.

ფაშისტების მზადება შემოტევისათვის ჯერ კიდევ გაზაფხულზე დაიწყო. გერმანელებმა კურსკის მიმართულებით თავი მოუყარეს დიდ ძალებსა და ბევრ საომარ ტექნიკას. შემოტევაში მონაწილეობას იღებდა 38 დივიზია, მათ შორის 17 სატანკო. გერმანიის სარდლობა დარწმუნებული იყო თავისი შეტევის წარმატებაში: ჯარებისადმი ბრძანებაში, რომელიც ჯარისკაცებს წაუკითხეს 4 ივლისს საღამოთი და 5 ივლისს დილადაადრიან, ჰიტლერი სწერდა, რომ იწყება „უკანასკნელი გადამწყვეტი ბრძოლა“. ცეცხლისა და რკინის ნიაღვარი დაატყდა თავს ჩვენს თავდამცველ ჯარებს. როგორც ტყვე გერმანელი ოფიცრები აცხადებენ, გერმანელებმა შემოტევის პირველ დღეს უფრო მეტი საომარი მასალა დახარჯეს, ვიდრე პოლონეთის მთელი კამპანიის განმავლობაში. შემოტევის პირველი სამი დღის განმავლობაში გერმანიის არტილერიამ დახარჯა უფრო მეტი ყუმბარა, ვიდრე საფრანგეთთან ომის მთელი ხნის განმავლობაში.

და შემოტევა მაინც ჩაიშალა. საბჭოთა მეომრებმა, რომელნიც ასრულებდნენ ამხანაგ სტალინის ბრძანებას—არ დაეთმოთ მტრისათვის არც ერთი მტკაველი ჩვენი მიწა-წყალი,—გაუძლეს ფაშისტთა ჯავშნიან ტარანს, რომელსაც დიდძალი ავიაცია და არტილერია ეხმარებოდა. თუ გერმანელებმა აქა-იქ შესძლეს სოლივით შემოჭრილიყვნენ ჩვენს თავდაცვაში, მათ ეს მანძილი გამოიარეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის უდიდესი ზარალის ფასად.

შემოტევის ჩაშლა იმდენად აშკარა გახდა, რომ გებელსის უწყების ფაშისტმა ცრუპენტელებმა თავიანთ ოფიციალურ ცნობებში შეტევის ინიციატივა საბჭოთა ჯარებს მიაწერეს. ჰიტლერის მთავარი ბანაკის ამ ყალთაბანდურმა ფანდმა ცხადჰყო, თუ რა დიდი დაბნეულობაა ფაშისტურ სარდლობაში მის მიერ განცდილი დიდი მარცხის გამო.

ბრძოლა ბოლოს

23 ივლისს ჩვენი ჯარების წარმატებითი მოქმედებით საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა გერმანელთა შემოტევა, რომელიც 5 ივლისს დაიწყო ორიოლის სამხრეთით და ბელგოროდის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებიდან კურსკისაკენ. ჩვენმა ჯარებმა არა მარტო უკუაგდეს მტერი და სავსებით აღადგინეს მდგომარეობა, რომელიც მათ ეჭირათ 5 ივლისამდე, არამედ კიდეც გაარღვიეს მტრის თავდაცვა და წინ წაიწიეს ორიოლისაკენ 15-დან 25 კილომეტრამდე.

5-დან 23 ივლისამდე წარმოებულ ბრძოლებში მტერმა მოკლულთა სახით დაჰკარგა 70.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და მოსპობილია 2.900 ტანკი, 195 თვითმავალი ქვემეხი, 844 საველე ქვემეხი, მოსპობილია 1.392 თვითმფრინავი და 5.000-ზე მეტი ავტომანქანა.

უმაღლესმა მთავარსარდალმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა სტალინმა 1943 წლის 24 ივლისის ბრძანებაში საბრძოლო ოპერაციების ხელმძღვანელთ და ჯარებს მიულოცა გერმანელთა საზაფხულო შემოტევის ლიკვიდაციის წარმატებით დამთავრება. ყველა მებრძოლს, მეთაურსა და პოლიტმუშაკს მადლობა გამოუცხადა ჩინებული საბრძოლო მოქმედებისათვის.

ბრძოლა ბოლოს

23 ივლისს ჩვენი ჯარების წარმატებითი მოქმედებით საბოლოოდ ლიკვიდირებულ იქნა გერმანელთა შემოტევა, რომელიც 5 ივლისს დაიწყო ორიოლის სამხრეთით და ბელგოროდის ჩრდილოეთით მდებარე რაიონებიდან კურსკისაკენ. ჩვენმა ჯარებმა არა მარტო უკუაგდეს მტერი და სავსებით აღადგინეს მდგომარეობა, რომელიც მათ ეჭირათ 5 ივლისამდე, არამედ კიდეც გაარღვიეს მტრის თავდაცვა და წინ წაიწიეს ორიოლისაკენ 15-დან 25 კილომეტრამდე.

5-დან 23 ივლისამდე წარმოებულ ბრძოლებში მტერმა მოკლულთა სახით დაჰკარგა 70.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. დაზიანებული და მოსპობილია 2.900 ტანკი, 195 თვითმავალი ქვემეხი, 844 საველე ქვემეხი, მოსპობილია 1.392 თვითმფრინავი და 5.000-ზე მეტი ავტომანქანა